ალექსანდრე ნაზღაიძე

პატაშურთა გვარი

გამომცემლობა „გვარიშვილობა“
თბილისი
2013

პატაშური ეპონიმური ტიპის გვარსახელია, ანუ უკავშირდება წინაპრის საკუთარ სახელს ქართული გვარსახელების დიდი უმრავლესობა ეპონიმურია. ძველ საქართველოში გავრცელებული იყო კაცის სახელი პატა, პატაჲ. ასევე გავრცელებული იყო ამ სახელის კნინობითი ფორმები: პატია, პატიკო, პატატი, პატურა, პატელა, პატაშა და სხვა. პატა და პაატა ერთი და იგივე სახელებია, როგორც: ზალ და ზაალ, ბადურ და ბაადურ, გულბათ და გულბაათ. ბოლოსართი „-შა“ გვხვდება სხვა ქართულ კნინობით სახელებშიც: ღუდუშა, ხუტუშა, ლეგუშა, კაიშა, ღანიშა, ქამუშა, გედეშა და სხვა.

ქართულ პატრონიმიკაში „პატ“ - ფუძიდან ნაწარმოები რამდენიმე დერივატული ფორმის გვარსახელი არსებობს: პატიაშვილი, პატატიშვილი, პატეიშვილი, პატურაშვილი, პატიეშვილი, პატიშვილი, **პატაშური** და სხვა. უნდა ითქვას, რომ აქ ჩამოთვლილი გვარები მხოლოდ მსგავსფუძიანი გვარსახელებია და არა მონათესავე გვარმოდენილობები.

ქართულ ენაში სიტყვა „გვარი“ გვარსახელსაც აღნიშნავს და გვარმოდენილობასაც, მაგრამ ამ ორ ცნებას შორის დიდი განსხვავებაა.

გვარმოდენილობა ერთსისხლობაა, წინაპრიდან შთამომავლამდე. გვარსახელი ამ ერთსისხლობის სახელწოდებაა. ხშირად ორ ან რამდენიმე სხვა და სხვა წარმოშობის გვარმოდენილობას ერთი და იგივე გვარსახელი აქვს. ამ მოვლენას მრავალძირიანობა ჰქვია. მაგალითად მჭედლიშვილთა გვარსახელი მრავალი სხვადასხვა მჭედლის შთამომავლობას, ანუ გვარმოდენილობას აერთიანებს. ის მჭედლები სხვადასხვა მხარეში და სხვადასხვა საუკუნეში ცხოვრობდნენ, ამიტომ მათი შთამომავალი მჭედლიშვილები ერთმანეთის მოგვარეები არიან და არა ბიძაშვილები. ქართული გვარების საკმაოდ დიდი ნაწილი მრავალძირიანია.

პატაშური ერთძირიანი გვარია. გვარსახელი „**პატაშური**“ მხოლოდ ერთ გვარმოდენილობას ჰქვია. **პატაშურების** გვარში ბიძაშვილობაა. ეს იმას ნიშნავს, რომ ყველა **პატაშური** ერთი წინაპრის შთამომავალია. ამ წინაპარს სავარაუდოდ პატა, პატაშა ან სულაც პატაშურა ერქვა. საქმე იმაშია, რომ სახელი პატაშური//პატაშურაც იხსენიება ქართველურ საკუთარ სახელთა სიაში (ა. ღლონტი,

ქართველური საკუთარი სახელები, თბ. 1986, გვ. 176).

XVIII-XIX საუკუნეების მთიულეთ-გუდამაყრის საბუთებზე მუშაობისას ჩვენ რამდენჯერმე შეგვხვდა კაცის სახელი „პატაშური“. მაგალითად: პატაშურ ციხიაური (იგივე ციხიშვილი) მთიულეთში, ხადას თემის სოფელ ციხიანთკარში (1774 წ.), პატაშური ქავთარაძე მთიულეთში, ცხავატის თემის სოფელ ბატატიანში (1781 წ.), პატაშურა ბექაური გუდამაყრის სოფელ კიტოხში (1841 წ.) და სხვა. თუ დავუშვებთ, რომ **პატაშურთა** საერთო წინაპარს პატაშური ერქვა, რასაც ვერ გამოვრიცხავთ, მაშინ საქმე გვექნება შემთხვევასთან, როდესაც საკუთარი სახელი გვარსახელად არის გადაქცეული უცვლელი ფორმით, მაგალითად: შერმადინი, ბაზალი, კახაბერი, ზაბილონი, გუბაზი და სხვა.

ერთძირიან გვარს ერთი ბუდე უნდა ჰქონდეს. **პატაშურების** გვარსაც ერთი ბუდე აქვს, ესაა მთიულეთის სოფელი ხევშა.

მთიულეთი მდებარეობს თეთრი არაგვის ხეობაში, ფასანაურიდან ზევით სათავეებამდე, ანუ კავკასიონის მთავარ ქედამდე. ისტორიულად მთიულეთი ორი თემისგან შედ-

გება. „თავს ხადა, ბოლოს ცხავატი“. ხევშა ცხავატის თემში შედის. **პატაშურები** ცხავატელი მთიულები არიან. ძველ ქართულ მეტყველებაში „მთიული“ ერქვა ყველას, ვინც მთაში ცხოვრობდა, ხოლო „მთიულეთი“ ნიშნავდა მთიანეთს. დღესაც ბევრი ქართველი „მთიულს“ და „მთიელს“ ვერ ანსხვავებს. ფშაველიც მთიული ჰგონიათ, ხევსურიც, თუშიც და სხვა მთის ხალხიც. სინამდვილეში, მთიულები მხოლოდ თეთრი არაგვის ხეობაში ცხოვრობენ. ყველა სხვა მთის ბინადართ მთიელები ჰქვიათ და არა მთიულები.

ხევშის წყალი პატარა მდინარეა, თეთრი არაგვის მარცხენა შენაკადი. ხევშის წყლის აყოლებაზე ყველაზე მაღლა **პატაშურ**ების უბანია, რომელიც ზოგჯერ ცალკე სოფლადაც იხსენიებოდა.

ხევშაში დაიბადა **პატაშურ**თა გვარი. აქ არის მათი სალოცავი და საფიცარი ადგილი. ხევშიდან დაიწყო **პატაშურ**თა გვარის გამრავლება და განსახლება საქართველოს სხვადასხვა მხარეში.

პატაშურთა გვარის სიძველის შესახებ გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის ზეპირი გადმოცემა, რომელიც ჩაუწერია და შემდეგ

პრესაშიც გამოუქვეყნებია XIX საუკუნის II ნახევარში მთიულეთში მოღვაწე მღვდელს, ალექსანდრე გულისაშვილს. ამ ჩანაწერის მიხედვით ქსნელთა და არაგველთა მთავარი სალოცავის, დიდი ლომისის წმინდა გიორგის ხატი ადრე **პატაშურებს** ებარათ და მერე ბურდულები გახდნენ ამ ხატის მსახურნიო (გაზეთი „დროება“, 13 აგვისტო, 1885 წ., №173, გვ. 1). ბურდულებს ლომისის ხატის დეკანოზობა მოუდით დღემდე. როდიდან მოუდით არავინ იცის. ერთი გადმოცემით, ბურდულები კაიშაურთ ველზე ოსებთან მომხდარი დიდი ბრძოლის შემდეგ დაწინაურებულან. ეს ბრძოლა 1726 წელს მოხდა. მთიულეთის სოფელ ზემო მლეთაში, ნინიანთ ნაზღაიძეების ოჯახში ინახებოდა 1726 წლის შეწირულობის სიგელი, რომელიც ვამიყ არაგვის ერისთავს ეკუთვნოდა და ოსებთან მოსალოდნელი დიდი ბრძოლის წინა დღეებში არის დაწერილი. სიგელის მიხედვით, არაგვის ერისთავი ლომისის წმინდა გიორგის ბრძოლაში შემწეობას სთხოვს. კაიშაურთ ველზე მომხდარი დიდი ბრძოლა და ამ ბრძოლაში ბურდულების დამსახურება აისახა მთიულურ ზეპირსიტყვიერებაში. თითქოს

ამ დამსახურებისათვის თემმა ბურდულებს ლომისის ეკლესიის გასაღები ჩააბარა.

მიგვაჩნია, რომ ბურდულებს გარკვეული სოციალური მდგომარეობა მანამდეც გააჩნდათ. ამას გვაფიქრებინებს ლომისის ეკლესიაში დაცული ვერცხლით მოჭედილი დიდი საწინამძღვრო ჯვრის წარწერა. წარწერა ნუსხა-ხუცური ასოებით არის შესრულებული და ასე იკითხება: „ქ. სახელითა ღვთისაითა ესე ხატი ჩვენ შევაქმნევინეთ ბურდულმა მახარებელმა, სუხამ, ჭრელამ, ნუგზარ ერისთვის ომში გატეხილი ლომისის მთავარ მოწამე...“

ეს ჯვარი საწინამძღვროა, ანუ ლაშქარს წინ უძღოდა. რახან ნუგზარ ერისთავის ომში გატეხილა და ბურდულებს გაუმთელებიათ, უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს ჯვარი მთიულების მხარეზე ყოფილა, „დაბალი საერისთაოს“ ლაშქართან ბრძოლაში. როგორც ჩანს იმ დროსაც ბურდულებს თავისი ადგილი ჰქონდათ დამკვიდრებული ლომისის კარზე და მთიულეთის სათემო საქმეებში.

ნუგზარ ერისთავი ერისთაობდა და ხევმთიულეთ-გუდამაყარს საბატონოდ ეჭიდებოდა 1600-იანი წლების დასაწყისში. 1623

წელს ზურაბ არაგვის ერისთავმა ანანურის ღვთისმშობელს სოფლები შესწირა, მამამისის, ნუგზარ ერისთავის სულის მოსახსენიებლად. (ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 1449, საბუთი 1771 ა). ესე იგი ამ დროს ნუგზარ ერისთავი ცოცხალი აღარ იყო.

თუ ბურდულების დაწინაურებამდე ლომისის ხატი მართლა **პატაშურებს** ებარათ, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ **პატაშურთა** გვარი „ნუგზარ ერისთვის ომებამდე“ ანუ 1500-იან წლებში უკვე არსებობდა მთიულეთში. თანაც იმ დროისათვის თავისი არსებობის გარკვეული გზა უკვე გავლილი ჰქონდა, ალბათ რაღაც დამსახურებაც გააჩნდა თემის წინაშე, რახან ასეთი საპატიო მოვალეობა ჰქონია დაკისრებული.

ეს ყველაფერი მაინც ვარაუდია, ზეპირ გადმოცემაზე დამყარებული. დოკუმენტური მასალის მიხედვით ამ გადმოცემას ვერც ვადასტურებთ და ვერც უარვყოფთ.

ჩვენამდე მოღწეულ ქართულ საისტორიო საბუთებში **პატაშურთა** გვარი XVII საუკუნის II ნახევრიდან ხსენდება. ეს არის გვიანფეოდალური ხანის საქართველოს ისტო-

რიის მნიშვნელოვანი წერილობითი წყარო „საამილახვროს დავთარი“.

საამილახვრო შიდა ქართლის ერთ-ერთი მსხვილი სათავადო იყო, რომელიც სამხედრო-ადმინისტრაციული მოწყობის მიხედვით მეორე სასპასპეტოში შედიოდა. ამილახვართა გვარს მამა-პაპით მოუდიოდა გორის მოურავობა და მემარჯვენე სადროშოს სარდლობა.

„საამილახვროს დავთარი“ დაზიანებული, თავნაკლული, მაგრამ მაინც საკმაოდ ვრცელი საბუთია. იგი წარმოადგენს დაახლოებით 6 მეტრის სიგრძის ქაღალდის გრაგნილს. ჩვენ ამ გრაგნილის მხოლოდ მცირე მონაკვეთს წარმოვადგენთ, იმ სოფლის აღწერას, სადაც იმხანად **პატაშურს** უცხოვრია:

„ქ. ანდორეთს შიუკა კურბლისშვილი
თოფითა კუამლი ა, თავი ბ.
პაატა ხუნდაური მშვილდითა
კუამლი ა, თავი ა.
თევდორა ხუნდაური მშვილდითა,
კუამლი ა, თავი ბ.
გიორგი კურბლისშვილი თოფითა
კუამლი ა, თავი ბ.
შიუკა კურბლისშვილი თოფითა
კუამლი ა, თავი ა.

მარტაშვილი გიორგი თოფითა კუამლი ა, თავი ბ.
ბერიძე თოფითა კუამლი ა, თავი დ.
პატაშური პაატა თოფითა კუამლი ა, თავი ა".

(ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 1448, საბუთი 5032). საბუთს რამდენიმე ადგილზე უზის ბეჭედი მხედრული წარწერით „ამილახორი გივი".

თავადი გივი ამილახვარი მემარჯვენე სარდლად დაინიშნა 1656 წელს. საამილახვროს აღწერაც დაახლოებით იმ დროს უნდა მომხდარიყო.

სოფელი ანდორეთი მდებარეობს შიდა ქართლში, მეჯუდას ხეობაში, დიდი მეჯვრისხევიდან ზევით ხუთი კილომეტრიც მოშორებით. ამჟამად იქ **პატაშური** აღარავინ ცხოვრობს, მაგრამ თუ ანდორეთელ პაატა **პატაშურს** შთამომავლობა დარჩა, ისინი ამჟამად გორში და გორის მხარეში მცხოვრებ **პატაშურებში** შეიძლება მოვიკითხოთ.

რას ნიშნავს „**პატაშური** პაატა თოფითა კუამლი ა, თავი ა." ეს იმას ნიშნავს, რომ ანდორეთში **პატაშურთა** ერთი კომლი

ცხოვრობდა და ამ კომლიდან საჭიროების შემთხვევაში ერთი მეომარი უნდა გამოსულიყო ლაშქარში.

დავთარში მითითებულია, თუ ვინ რა იარაღით უნდა გამოსულიყო. მეომრის შეიარაღება მისი ოჯახის შეძლებაზე იყო დამოკიდებული. ღარიბი გლეხები მშვილდით და შუბით, საშუალონი ფარ-ხმლით, შეძლებულნი – თოფით იყვნენ შეიარაღებულნი.

ეს ანდორეთელი შეძლებული გლეხი პაატა **პატაშური** რათქმაუნდა მთიული იყო. მთიულეთში მისი წინაპრები თავისუფალი მეთემეები იყვნენ, მაგრამ ბარად ჩამოსახლებულ შტოს ეკუთვნოდა და ამილახვრის ყმა-გლეხად ქცეულა. მთიელი თავისი ნებით მთას არ ტოვებდა. ბარად ბატონ-ყმობა იყო. მოსახლეობის მთიდან ბარში მიგრაციის სხვადასხვა მიზეზებს შორის მთავარი მაინც მიწის სიმცირე იყო.

საამილახვროს დავთარი საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ **პატაშურთა** გვარის მთიულეთიდან ქართლში მიგრაცია XVII საუკუნის შუა ხანებში და შეიძლება უფრო ადრეც, უკვე დაწყებული პროცესია.

XVII-XVIII საუკუნეებში საქართველოს მთა-

სა და ბარში ლეკიანობა მძვინვარებდა. ერთმა მთიულურმა ლექსმა შემოგვინახა ხევშელი კაი ყმის, პაატა **პატაშურის** სახელი. ერთხელაც საქმეზე მიმავალი პაატა **პატაშური** უღელს მიუძღოდა, როცა ლეკებს გადაეყარა. ლეკები რვანი ყოფილან და რამდენიმე მოტაცებული ქალი და ბავშვი მიჰყავდათ თურმე:

„პაატამ პატაშურამა
შვიდნი დავისხნი წინაო
მერვეს ვესროლე ტაბიკი,
ვეღარც ის მივა შინაო“.

ქართველი კაცი იძულებული იყო სამუშაოზეც იარაღით ევლო.

შემდეგი საბუთი, რომელშიც **პატაშურთა** გვარი იხსენიება, 1774 წლით თარიღდება. ეს ის დროა, როდესაც ქართული სახელმწიფო, პირველად თავის ისტორიაში, ცდილობს შექმნას რეგულარული არმიის მიმსგავსებული ქართული ჯარი. მანამდე ჩვენ არმია არასდროს გვყოლია. ჩვენ გვყავდა ლაშქარი, რომელიც იყრებოდა ომის დროს და იშლებოდა ომის დამთავრებისთანავე.

XVIII საუკუნის 70-იან წლებში მეფე ერეკლემ „მორიგე ჯარი“ შემოიღო, რომელსაც ხალხში მუდმივ ლაშქარს ეძახდნენ. მორიგე



ჯარის დებულების მიხედვით, ყველა ქართველი: გლეხიც, აზნაურიც, თავადიც და მეფის ოჯახის წევრებიც, ვალდებულნი იყვნენ, ყოველ წელს ერთი თვით, თავისი იარაღით, გუდანაბდით და პურ-ღვინით, ქვეყნის დასაცავად „მორიგეში“ გამოსულიყვნენ. მეფის ბრძანებით ჩატარდა აღწერები ქართლ-კახეთის სამეფოს ყველა მხარეში. ითვლიდნენ კომლებს და კომლებში იარაღის ტარების შემძლე ყველა მამაკაცს 16-დან 60 წლამდე.

ჩვენს ხელთ არის ამ მიზნით შედგენილი საბუთი „აღწერა არაგვის ხეობისა“, რომელიც ასე იწყება:

„ქ. ზე ადიდნეს ღმერთმან მეფობა მათის უმაღლესობის მეორის ირაკლისა. გვებრძანეს ჩვენ მათ მიერ მონათა მათთა მაყასშვილს ლუარსაბსა და თუმანიშვილს მდივნის გორჯასპისშვილს მანუჩარს აღწერად არაგვისა. აღვსწერეთ ბრძანებისაებრ მათის უმაღლესობისა. აღიწერა თვესა იანვარსა ა. წელსა უჲბ“.

ქართული ქორონიკონის „უჲბ“ ანუ 462 წელი, ქრისტეს აქეთ 1774 წელს შეესაბამება. აღწერა მოიცავს იმ დროისათვის უკვე გაუქმებული არაგვის საერისთავოს მთიან მხარეებს, ხევს,

მთიულეთს, გუდამაყარს, ხანდოს და ჭართალს, ანუ „მაღალ საერისთაოს“.

იმ დროს **პატაშურებს** მთიულეთის ორ სოფელში უცხოვრიათ, ცხავატის თემის სოფელ ხევშაში და ამავე თემის სოფელ ქავთურთკარში. არაგვის ხეობის ვრცელი აღწერიდან აქ მხოლოდ ამ ორი სოფლის მცხოვრებთა და „მორიგეში“ გამსვლელთა სიას წარმოვადგენთ:

„ცხაოტს ხევშას არაგვის ერისთვის ყმა ამისივე სახელო:

ქ. კერვალიძე თამაზას შვილი ..... კომლი ა,
ხოსრო და დათა. თავი ბ.

აქავ კერვალიძე თამაზას შვილი ..... კომლი ა,
ბეჟან. თავი ა.

აქავ კერვალიძე ბერის შვილი ..... კომლი ა,
მარზა და თამაზ. თავი ბ.

აქავ ქავთარაძე ბეჟანის შვილი ..... კომლი ა,
ლომი. თავი ა.



აქავ ქავთარაძე ისეს შვილი ..... კომლი ა,
თინიბეგა და შიო. თავი ბ.

აქავ ქავთარაძე ისეს შვილი ..... კომლი ა,
ფოცხვერა. თავი ა.

აქავ ქავთარაძე შიუკაის შვილი ..... კომლი ა,
ქურციკი, კვირიკაი, თავი დ.
გამახარე და ელისბარი.

აქავ ქავთარაიძე ზაზას შვილი ..... კომლი ა,
გამახარე, გიორგი, თავი დ.
ავთანდილ და გოდერძი.

აქავ ქავთარაძე ბალაის შვილი ..... კომლი ა,
ზაზა, ბალა, ივანე, თავი ე.
ხიზანა და ბერი.

აქავ ქავთარაძე აბრამის შვილი ..... კომლი ა,
ჯაჯა და გამახარე. თავი ბ.

აქავ ქავთარაძე გივის შვილი ..... კომლი ა,
გელია, ბერი და გამახარე. თავი გ.

აქავ ქავთარაძე გივის შვილი ..... კომლი ა,
ხიზანა, თვარელა და ბერი. თავი გ.

აქავ ქავთარაძე ოქრუას შვილი ..... კომლი ა,
ბერი. თავი ა.

აქავ **პატაშური** იმანის შვილი ..... კომლი ა,
მახარებელი, გივი და ივანე. თავი გ.

აქავ **პატაშური** სოროზანის შვილი ... კომლი ა,
გამახარე, ბერუკა და ხიზანა. თავი გ.

აქავ **პატაშური** ბერის შვილი ..... კომლი ა,
მგელა, თათარა, თავი დ.
ლაგაზა და გიორგი.

აქავ **პატაშური** ზარიბეგის შვილი ....კომლი ა,
ათილა. თავი ა.

აქავ **პატაშური** გიორგის შვილი ..... კომლი ა,
გიორგი. თავი ა.

აქავ **პატაშური** გიორგის შვილი ..... კომლი ა,
პატარიძე და გამახარე. თავი ბ.



აქავ **პატაშური** ბერის შვილი ..... კომლი ა,
დათუნა, გუგუა, თავი დ.
ვაჟიკა და თვარელა
მსახური.

აქავ ბიბილაური დათვას შვილი ..... კომლი ა,
გივი, საბრალა და მახარა. თავი გ.

აქავ ქავთარაძე ოქრუას ობოლი.....ა.
ივანე.

იქმნა ჯამი მემკვიდრისა..... კომლი კა,
თავი ნბ.

იქმნა ჯამი მემკვიდრის ობლისა ..... თავი ა.

ცხაოტს ქავთურთ კარს
არაგვის ერისთვის ყმა
ამისივე სახელო:

ქ. ქავთარაძე თადილას შვილი.....კომლი ა,
შიო, ხოსრო და დავითა. თავი გ.

აქავ ქავთარაძე თამაზას შვილი ..... კომლი ა,
გამახარე, ნადირა, თავი დ.
ელისბარ და თამაზა.

აქავ ქავთარაძე თადილის შვილი ..... კომლი ა,
გამახარე. თავი ა.

აქავ ქავთარაძე სეხნის შვილი ..... კომლი ა,
ბერი, სეხნია, თავი დ.
გოგიაი და ათილაი.

აქავ ქავთარაძე შერმადინის შვილი....კომლი ა,
გოდერძი, ამოან, თავი დ.
შემაზან და დავითა.

აქავ ქავთარაძე ბერის შვილი ..... კომლი ა,
დათუნა და ოქრუა. თავი ბ.

აქავ ქავთარაძე ველთაურის შვილი...კომლი ა,
ივანე, ოქრუა და გამახარე. თავი გ.

აქავ ქავთარაძე ველთაურის შვილი...კომლი ა,
ოქუა, დავითა და ათილა. თავი გ.

აქავ ქავთარაძე გიორგის შვილი ..... კომლი ა,
ხოსრო და მახარებელი. თავი ბ.

აქავ ქავთარაძე გიორგის შვილი ..... კომლი ა,
გივი. თავი ა.

აქავ ქავთარაძე ელისბარის შვილი ...კომლი ა,
თამაზა. თავი ა.

აქავ ქავთარაძე ქავთარის შვილი .... კომლი ა,
გივი. თავი ა.

აქავ ქავთარაძე პაპის შვილი.....კომლი ა,
ივანე და გამახარე. თავი ბ.

აქავ **პატაშური** ბედის შვილი ..... კომლი ა,
გივი, ხიზანა და თათარი თავი გ.
მსახური

აქავ **პატაშური** ხოსროს შვილი ..... კომლი ა,
ბერი და ჯაბანი. თავი ბ.

აქავ ქავთარაძე ათილაის ობოლი.....ბ.
ბეჟან და ათილა.

აქავ ბოგანო ქავთარაძე თადილას შვილი .....
ივანე კომლი ა,
თავი ა.

იქმნა ჯამი მემკვიდრისა.....კომლი იე,
თავი ლვ.

იქმნა ჯამი ბოგანოსი.....კომლი ა,
თავი ა.

იქმნა ჯამი მემკვიდრის ობლისა.....თავი ბ".

(მასალანი საქართველოს სტატისტიკურის აღწერილობისა მეთვრამეტე საუკუნეში, რედაქტორი ე. თაყაიშვილი, თბ. 1907, გვ. 467-459, 461-462).

„არაგვის ერისთვის ყმაში" მთიულეთის იმჟამინდელი მოურავი, აზნაური საამ კობიაშვილი იგულისხმება. ტერმინი „სახელო" ამ მოურავის სამოხელეოს ნიშნავს. როგორც ვხედავთ, 1774 წლისათვის მთიულეთში **პატაშურთა** გვარის სულ ცხრა ოჯახი ცხოვრობდა. აქედან შვიდი ოჯახი ხევშაში ცხოვრობდა და ორი ქავთურთ კარში. უნდა ვივარაუდოთ, რომ



იმ დროისათვის **პატაშურთა** რამდენიმე ოჯახი უკვე ბარად ცხოვრობდა.

აღწერის მიხედვით მთიულეთში მცხოვრები **პატაშურებიდან** მორიგე ჯარში 23 მეომარი გამოდიოდა. ყურადღებას იქცევს ის ფაქტი, რომ ხევშელი ბერი **პატაშურის** და ქავთურთკარელი ბედი **პატაშურის** ოჯახებს უწერიათ სოციალური სტატუსის განმსაზღვრელი ტერმინი „მსახური".

ერეკლეს დროინდელ საქართველოში გლეხთა ოთხი კატეგორია არსებობდა: იყო გლეხი მოყალნე, გლეხი მსახური, გლეხი ხიზანი და გლეხი ბოგანო. მოყალნე, ხიზანი და ბოგანო გლეხები ბევრნი იყვნენ. მსახური გლეხი ცოტა იყო. გლეხი მსახური ხდებოდა რაიმე დამსახურების შემთხვევაში. მსახური გლეხი სხვა გლეხებისგან განსხვავებით გადასახადებს არ იხდიდა, ან ნაკლებს იხდიდა. გლეხთა საერთო მასაში მსახურთა ფენა გამოიყოფოდა სისხლის ფასის მიხედვითაც.

ქართული სახელმწიფო სამართალი მკვლელობის შემთხვევაში ციხეს და პატიმრობას არ ითვალისწინებდა, დამნაშავე მხარეს დაზარალებული მხარისთვის სისხლის საფასური უნდა გადაეხადა. დადგენილი იყო

სისხლის ფასები წოდებების მიხედვით. XVIII საუკუნეში მსახური გლეხის სისხლის ფასი 24 თუმანი იყო, მაშინ როდესაც ყველა სხვა კატეგორიის გლეხის სისხლის ფასი 12 თუმანი იყო.

პატაშურთა გვარში ორ ოჯახს ასეთი განსხვავებული სოციალური მდგომარეობა ჰქონდა. უნდა ვივარაუდოთ, რომ მათ ეს მდგომარეობა შემთხვევით არ მოუვიდათ და მოპოვებული ჰქონდათ.

ამ აღწერიდან შვიდი წლის შემდეგ მორიგე ჯარში გამსვლელთა სიები ხელმეორედ შეუდგენიათ. 1781 წლის არაგვის ხეობის აღწერაში, რომელიც ყოფილი არაგვის საერისთავოს მთასაც მოიცავს და ბარსაც, **პატაშურთა** გვარის 13 კომლი იხსენიება 4 სოფელში.

ხევშაში **პატაშურები** გვარის გარეშე ჩაუწერიათ, მხოლოდ მამის სახელებით:

„ხევშას:

ქ. ზარიბეგის შვილი ..... კომლი ა,
თავი ა, ათილა.

ქ. ზარიბეგის შვილი ..... კომლი ა,
თავი ა. ფოცხვერა.



ქ. გელის შვილი ..... კომლი ა, თავი ა.
ლაგაზა.
ქ. გელის შვილი ..... კომლი ა, თავი ა.
გიორგი.
ქ. ბერის შვილი ..... კომლი ა, თავი ბ.
გამახარე,
პატარიძე.
ქ. ბერის შვილი ..... კომლი ა, თავი გ.
გუგუტა,
ბერი
ვაჟიკა.
ქ. იბანის შვილი ..... კომლი ა, თავი ა.
პატაშური.
ქ. მგელის შვილი ..... კომლი ა, თავი გ.
ივანე,
გივი,
გამახარე.
ქ. ხიზანას შვილი ..... კომლი ა, თავი გ.
ბეკური,
ხიზანა,
სამუკა.
ქ. თათარას ობოლი ..... თავი გ.
პატაშური,
ბერი,
თვარელი.

წიფორს:

ქ. **პატაშური** გიორგის შვილი..... კომლი ა,
თავი ა.
გიორგი.

ქავთურთ კარს:

ქ. **პატაშური** ..... კომლი ა, თავი გ,
ივანე,
გივი,
ხიზანა.

საშაბუროს:

ქ. **პატაშური** .....კომლი ა, თავი ა,
გოგია."

(ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიკური ისტორიის ძეგლები, ტ. I, თბ. 1967, გვ. 118, 119, 130).

ხევშა, წიფორი და ქავთურთ კარი მთიულეთის სოფლებია. საშაბურო ბარის სოფელია, „დაბალ საერისთაოში" შედიოდა, დუშეთის მახლობლად მდებარეობს. საშაბუროში ჩასახლებული გოგია **პატაშური** ადგილობრივი აზნაურის ბეჟან შაბურიშვილის ყმა გამხდარა.

1781 წლისათვის **პატაშურთა** გვარიდან 24 მეომარი გამოდიოდა მორიგე ჯარში.

საინტერესოა ჩვენს ხელთ არსებული ამ ორი აღწერის შედარება. 1774 წლის აღწერით ხევშაში მცხოვრები იმანი **პატაშურის** შვილები: მახარებელი, გივი და ივანე 1781 წლის აღწერის მიხედვით ისევ ერთ გაუყრელ სახლად ცხოვრობდნენ ხევშაში, მაგრამ მამის სახელად მგელის შვილი უწერიათ. ძველადაც ხშირი იყო შემთხვევა, როცა ერთ კაცს ორი სახელი ერქვა.

1781 წლის აღწერაში აღარ იხსენიება ხევშელი სოროზან **პატაშურის** ოჯახი. შესაძლოა 1774 წლის შემდეგ ეს ოჯახი აიყარა და ბარად ჩასახლდა.

ბერი **პატაშურის** ოთხი ვაჟიდან უფროსი მგელა 1781 წლის აღწერაში აღარ იხსენიება, როგორც ჩანს არც შთამომავლობა დარჩენია. თუმცა ვინ იცის, იქნებ ისიც ბარად ჩასახლდა. მომდევნო ძმა თათარა 1781 წელს ცოცხალი აღარაა, მაგრამ მისი ობლები სამი ძმა: **პატაშური**, ბერი და თვარელი სამ მეომრად არიან ჩაწერილნი სიაში. თუმცა, როგორც ობლები, კომლად არ მიუჩნევიათ. ობლები საკომლო გადასახადს არ იხდიდნენ. უმცროსი

ძმები ლაგაზა და გიორგი გაყრილან და ცალკე ოჯახებად იხსენიებიან 1781 წლის აღწერაში, ოღონდ მამის სახელად ბერის ნაცვლად გელის შვილები უწერიათ. როგორც ჩანს აქაც ორსახელიანობასთან გვაქვს საქმე.

ზარიბეგ **პატაშურის** ოჯახში 1774-დან 1781 წლამდე როგორც ჩანს კიდევ ერთი ვაჟი წამოიზარდა, ძმები ათილა და ფოცხვერა გაყრილან კიდეც და ცალ-ცალკე ოჯახებად ჩაწერილან ახალი აღწერის სიაში.

გიორგი **პატაშურის** შვილი გიორგი ამ პერიოდში ხევშიდან აყრილა და მეზობელ სოფელ წიფორში გადასახლებულა.

ძმები პატარიძე და გამახარე **პატაშურები,** რომლებიც ერთ კომლად ცხოვრობდნენ ხევშაში, 1774 წელს, ისევ გაუყრელად იხსენიებიან 1781 წლის აღწერაში.

ცვლილება მომხდარა ბერი **პატაშურის** „მსახურთა“ ოჯახში. ოთხი ძმიდან ორნი, დათუნა და თვარელა აღარ ჩანან (დახოცილან თუ გადასახლებულან), ამასობაში ერთი ძმა წამოზრდიათ. 1781 წლის აღწერის მიხედვით ხევშელი მსახურის, ბერი **პატაშურის** ოჯახიდან ოთხის ნაცვლად სამი მეომარი გამოდიოდა მორიგე ჯარში.



1781 წლის აღწერაში იხსენიება ხევშელი **პატაშურების** კიდევ სამი ოჯახი, რომლებიც წინა აღწერაში არ იხსენიებიან. ესენი რომ ახალშექმნილი ოჯახები იყვნენ, წამოზრდილი, მორიგე ჯარში გამსვლელი შვილები არ ეყოლებოდათ. ისღა დაგვრჩენია ვიფიქროთ, რომ ეს სამი ოჯახი გამორჩათ 1774 წლის აღწერისას.

შეცვლილი მდგომარეობაა ქავთურთკარელ **პატაშურებშიც**. 1774 წელს იქ ორი კომლი **პატაშური** მკვიდრობდა. 1781 წლის აღწერის მიხედვით ქავთურთ კარში ხოსრო **პატაშურის** ოჯახი აღარ ჩანს. გათავდნენ ან აიყარნენ და ბარად წავიდნენ. დარჩენილა ბედი **პატაშურის** მსახურთა ოჯახი. აქაც ცვლილებაა, ამ ოჯახის სამი ძმიდან ორნო დარჩენილან. მესამე ძმის მაგივრად სხვა სახელი სწერია. შესაძლოა ბოლო შვიდ წელიწადში უმცროსი ძმა წამოეზარდათ, ამ სიებში ხომ „ხმლის ტარების ასაკიდან“ ანუ 16 წლიდან შეიძლებოდა ჩაწერა. 1781 წლისათვის ქავთურთკარელი მსახური **პატაშურების** ოჯახიდან ისევ სამი მეომარი გამოდიოდა მორიგე ჯარში.

პატაშურთა გვარი იხსენიება 1792 წლის საბუთში, რომელსაც „მთიულეთის საყალნო“

ჰქვია. საბუთი საკმაოდ ვრცელია. ცალკე ქვეთავებად არის ჩამოწერილი: ღუდას, ხადას, გარეშემოს, მრევლის და ცხაოტის საყალნოები. ჩვენ მხოლოდ ცხაოტის საყალნოს წარმოვადგენთ, სადაც **პატაშურები** იხსენიებიან:

„ცხაოტს ამირიძის სახელოს საყალნო:

ქ. ჩირიკიდამ თინიბეგის შვილის საყალნო ცხვარი ერთი.
ქ. აქავ შალვაშვილების საყალნო ცხვარი ერთი.
ქ. ტატიშვილისა აქავ საყალნო თოხლი ერთი.
ქ. აქავ ჩოხლის საყალნო თოხლი ერთი.
ქ. აქავ ღოღოშვილის საყალნო ცხვარი ორი.
ქ. აქავ ქურივიშვილისა საყალნო თოხლი ერთი.
ქ. აქავ ქურივიშვილისა გოდერძისა საყალნო ცხვარი ერთი.
ქ. აქავ კობათ საყალნო ცხვარი ორი და თოხლი.

ქ. ძმიაიშვილის საყალნო ცხვარი ერთი.
ქ. ბატატაიშვილის საყალნო თოხლი ერთი.

ქ. ხუციაშვილის საყალნო ცხვარი ერთი.
ქ. ჩახათიანთ და ჯავჯასი საყალნო თოხლი ორი.

ქ. ჭიკათ საყალნო ცხვარი ოყი.
ქ. მკერვალიძის საყალნო ცხვარი ერთი.
ქ. ბიბილაშვილის საყალნო ცხვარი ა, თოხლი ა.
ქ. გრუზიანთ საყალნო ცხვარი ა, თოხლი ა.
ქ. ლომიკიანთ ბერას საყალნო ცხვარი ა, თოხლი ა.
ქ. **პატაშურ**ების საყალნო ცხვარი სამი.
ქ. გურიტიშვილის საყალნო ცხვარი ერთი.
ქ. ჟიჟიაშვილის საყალნო ცხვარი ერთი.
ქ. ქავთარაშვილის შიოს საყალნო ცხვარი ერთი.
ქ. გოჭიაშვილის საყალნო ცხვარი ა, თოხლი ა.
ქ. ოქუას საყალნო თოხლი ერთი.
ქ. **პატაშურ**ი ივანე ფარეშის საყალნო ცხვარი ერთი.
ქ. მარტიაშვილების საყალნო ცხვარი ერთი.
ქ. ბახნის ყალანი ცხვარი ა, თოხლი ბ.

ქ. ჩადისციხური ყალანი ცხვარი ბ, თოხლი ა.

ქ. ამირთკარს სვიმანიანი ყალანი ცხვარი ერთი.
ქ. აქავ ვაიძიშვილისა ყალანი თოხლი ერთი.
ქ. ამირიძის გივის ყალანი თოხლი ერთი.
ქ. "

(ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 1448, აღწერა 1, საბუთი №741). საბუთი ბოლონაკლულია. თარიღად უწერია „ქორონიკონს უპ" ანუ 480 წელი, რაც ქრისტეს აქეთ 1792 წელს უდრის. ყალანი გადასახადს ნიშნავს. მთიულები იმ დროს სამეფო ხაზინას ადგილის გადასახადს უხდიდნენ. ეს გადასახადი იყო ცხვარი და ერბო. იქვე მიწერილია „ამათ ერბო ლიტრა |ა|ი", ესე იგი კომლზე ლიტრანახევარი ერბო უნდა გადაეხადათ წელიწადში. ეს ყველასათვის ერთნაირი გადასახადი იყო. ცხვარისა და თოხლის გადასახადი კი ყველასთვის სხვადასხვა იყო. როგორც ჩანს ეს სხვადასხვაობა მიწის ფართობზე იყო დამოკიდებული, თუ ხევშელი მკერვალიძეები ერთ ცხვარს იხდიდნენ, ბიბილაშვილები ერთ ცხვარს და ერთ თოხლს, **პატაშურები** სამ ცხვარს იხდიდნენ.



შესაბამისად **პატაშურების** მიწა ორჯერ მეტი უნდა ყოფილიყო ბიბილაშვილების მიწაზე და სამჯერ მეტი, ვიდრე მკერვალიძეების მიწა იყო. გადასახადი, ანუ ყალანი მიწას ედო. ყალანს იხდიდა ის კომლი ან გვარი, მიუხედავად კომლთა რაოდენობისა, ვინც ამ მიწით სარგებლობდა.

ამავე საბუთში სწერია „ქ. **პატაშური** ივანე ფარეშის საყალნო ცხვარი ერთი". ეს უნდა იყოს ქავთურთ კარელი **პატაშურების** საყალნო. 1781 წლის აღწერის მიხედვით ქავთურთ კარში **პატაშურთა** ერთი კომლი იყო დარჩენილი. ამ კომლს 1774 წლის აღწერაში „მსახური" ეწერა. ფარეში ივანე **პატაშური** მსახურთა ოჯახიდან იყო. მსახურ გლეხს განსხვავებული სოციალური მდგომარეობის გამო, სხვა მოვალეობები ჰქონდა. ესენი იყო: ლაშქარ-ნადირობა, მასპინძლობა და ბატონის ხლება. ამას „საპატიო" მოვალეობები ერქვა.

მთიულეთში ბატონი არ ახსოვთ. არც ერთი აღწერა მთიულეთში აზნაურის ან თავადის თუნდაც ერთი ოჯახის არსებობას არ ადასტურებს. მაშ ვის შეიძლება ხლებოდა ივანე **პატაშური**?

მართალია იმ დროს არაგვის საერისთავო

გაუქმებული იყო, მაგრამ არაგვის საუფლისწულო მამულს, მისაქციელიდან დარიალამდე მეფე ერეკლეს ვაჟი, ვახტანგ ბატონიშვილი ფლობდა.

მიგვაჩნია, რომ ქავთურთკარელი ივანე **პატაშური** ვახტანგ ბატონიშვილის კარზე მსახურობდა ანანურში და დუშეთში, სადაც ბატონიშვილის რეზიდენციები იყო.

ეს ის ვახტანგ ბატონიშვილია, რომელიც ზემოხსენებული საბუთის შედგენიდან სულ რაღაც სამ წელიწადში არაგველთა სამასკაციან რაზმს გამოუძღვა დუშეთიდან კრწანისისაკენ.

დღეს უკვე წმინდანად შერაცხული, თავგანწირული არაგველების ვინაობის შესახებ ბევრი თქმულა და ბევრი დაწერილა, მაგრამ ეს საკითხი დღემდე გარკვეულია და მეცნიერული კამათის საგანს წარმოადგენს არის მოსაზრება, რომ არაგველები იყვნენ მთიელები: ვთქვათ გუდამაყრელები, ან მთიულ-გუდამაყრელები, ან მთიულ-მოხევე-გუდამაყრელები, ან მხოლოდ ხევსურები, ან ფშავ-ხევსურები, ან ყველანი ერთად. თანაც მთიელთა წესით გამოსულნი, ანუ ქუდზე კაცად.

არის მოსაზრება, რომ არაგველები იყვნენ მხოლოდ არაგვის ყოფილი საერისთაოდან გამოსული მეომრები, როგორც „მაღალი“ ისე „დაბალი საერისთაოდან“, ფშავ-ხევსურების გარეშე, მიუხედავად იმისა, რომ მდინარე არაგვი ფშავ-ხევსურეთშიც ჩამოედინება და ისინი ნამდვილად მონაწილეობდნენ კრწანისის ბრძოლაში.

კრწანისის ბრძოლის აღწერისას თეიმურაზ ბატონიშვილი მოგვითხრობს: „აღერჩივნეს კაცნი მამაცნი ქიზიყელნი, არაგველნი და ფშავ-ხევსურნი, შეუხდეს სპარსთა მხედრობასა...“ „და შეერთდა გუნდიცა ესე გუნდსა მას ფშავ-ხევსურთა, არაგველთა და ქიზიყელთასა და ჰყვეს მათ ატაკა მტერთა მიმართ და მიიწივნეს ვიდრე დროშებამდე აღა-მაჰმადხანისა და მოსტაცნეს დროშანი რაოდენნიმე...“ (ს. კაკაბაძე, კრწანისის ომი, თბ. 1991, გვ. 124). ამ და სხვა წყაროების მიხედვითაც ჩანს, რომ არაგველებს, ფშავ-ხევსურებს და ქიზიყელებს მხარდამხარ უბრძოლიათ კრწანისში, მაგრამ მათ სხვადასხვა სახელები ერქვათ. ფშავ-ხევსურები არაგველები რომ ყოფილიყვნენ, მაშინ დაიწერებოდა: „არაგველებმა და ქიზიყელებმა შეუტიესო“. არაგველების და

ფშავ-ხევსურების გვერდიგვერდ დასახელება სწორედ იმას ადასტურებს, რომ არაგველები არაგველები იყვნენ და ფშავ-ხევსურები — ფშავ-ხევსურები.

ჩვენ ვემხრობით იმ აზრს, რომ არაგველები არაგვის საერისთაოდან გამოსული მეომრები იყვნენ და არა არაგვის ხეობიდან. ამასთან მიგვაჩნია, რომ კრწანისის ველზე ვახტანგ ბატონიშვილმა არაგველები ქუდზე კაცად არ გამოიყვანა. არაგვის ყოფილი საერისთაოდან იმ დროს დაახლოებით 3500 მეომრის გამოყვანა შეიძლებოდა. როგორც ჩანს არაგველთა 300 კაციანი რაზმი შერჩევით იყო შედგენილი. „მაღალი საერისთაოდან, ანუ ხევიდან, მთიულეთიდან, გუდამაყრიდან, ხანდოდან და ჭართლიდან დუშეთში დაბარებული იყვნენ მთის მოხელეები: მოურავები, ნაცვლები, ციხისთავები და მსახური მთიელები თავისი გაუყრელი ძმებით. ასევე დაძახებული იყვნენ „დაბალი საერისთავოდან“ დუშეთ-ბაზალეთის და ჟინვალ-ანანურის მხარის აზნაურები ქუდზე – კაცად და თარხან-აზატი გლეხები გაუყრელი ძმებით. უნდა ვივარაუდოთ, რომ ამათ დაემატებოდა თავისი ნებით გამოსული რამდენიმე მთიელი „კაი ყმა“ და დეკანოზი,

აგრეთვე ანანურელი მეციხოვნეები და დუშეთის სასახლის დაცვა. ასე შეიყარა დუშეთში 300 კაციანი, ბრძოლისუნარიანი, კარგად შეიარაღებული რაზმი. საფიქრებელია, რომ ამ რაზმში მსახურ **პატაშურთა** ორი ოჯახიდან 6-7 მეომარი უნდა ყოფილიყო. 1774 და 1781 წლების არაგვის ხეობის აღწერები ასეთი ვარაუდის საფუძველს გვაძლევს.

კრწანისამდე იყო ასპინძა, აწყური, აგრიჩაი, ბახტრიონი, ბაზალეთი, მარაბდა, მარტყოფი, ტაშისკარი... **პატაშურთა** ხმალი ტრიალებდა ყველა ბრძოლაში, სადაც არაგვის ლაშქარი მონაწილეობდა.

ისევე როგორც ყველა ქართული გვარი, **პატაშურებიც** იხდიდნენ სამხედრო ბეგარას. მათ განსახლების და სოციალური მდგომარეობის მიხედვით განსაზღვრული ჰქონდათ ადგილი ქართულ ლაშქარში.

ღმერთისა და საქართველოსათვის და ბაგრატიონთა ტახტის ძლიერებისათვის **პატაშურთა** გვარის მეომრები გამოდიოდნენ ქართლის სამეფო ლაშქრის მემარჯვენე და მემარცხენე სადროშოებში, ამილახვართა და მუხრანბატონთა დროშებქვეშ. ძირითადად **პატაშურთა** ადგილი მემარცხენე სადროშოში იყო.

1801 წელს საქართველოში საშველად მოწვეულმა რუსებმა მეფე გიორგი XII-ს გარდაცვალებით ისარგებლეს და ქართლ-კახეთის სამეფო გაუქმებულად გამოაცხადეს. დაიწყო რუსული მმართველობა. ყოფილ არაგვის საერისთაოში: დარიალში, სტეფან-წმინდაში, კაიშაურთ კარში, ანანურში და დუშეთში რუსის ჯარი დადგა. მოყვრად მოსული სტუმარი მასპინძელს გაუბატონდა.

1804 წლის ზაფხულში: არაგველმა ციხი-სთავმა ლევან ნაზღაიძემ, ნაცვალმა სამუ-კა ამირიძემ და დეკანოზმა შიო ბურდულმა დიდი აჯანყება წამოიწყეს. ეს იყო მთიულეთის აჯანყება — პირველი და ყველაზე მრისხანე აჯანყება საქართველოში რუსთა ბატონობის წინააღმდეგ. აჯანყებაში მონაწილეობდნენ: მოხევეები, გუდამაყრელები, ფშავ-ხევსურები, ხანდო-ჭართალელები, ოსები და რათქმაუნდა მთიულების ყველა საგვარეულო. აჯანყება ოთხი თვე მძვინვარებდა. მსხვერპლი დიდი იყო და ეს მსხვერპლი **პატაშურების** გვარმაც გაიღო.

1795 და 1804 წლების სისხლიანი მოვ-ლენების შედეგად **პატაშურთა** გვარში კომლთა



რაოდენობა შემცირდა. კლება იყო ყველა მთიულის გვარში.

ჩვენ ხელთ არის 1831 წლის კამერალური აღწერა, რომლის მიხედვითაც სოფელ **პატაშურში** (იგივე ხევშა) **პატაშურთა** მხოლოდ 4 კომლს უცხოვრია:

„მთიულეთი ს. პატაშური:

1. აბრამ **პატაშური** 10 წლის.
   მისი დედა მარინა 40 წლის.
   მისი ძმები: 1. გიორგი 8 წლის.
   2. შიო 4 წლის.
   მისი და მარიამი 6 წლის.

2. გიორგი **პატაშური** 25 წლის.
   მისი ძმები: 1. თევდორე 20 წლის
   2. იულონ 16 წლის.
   მისი ბიძაშვილები: 1. ნინია 18 წლის.
   2. აბრამ 10 წლის.
   ნინიას დედა ქალთამზე 60 წლის
   აბრამის დედა ხოშია 40 წლის.
   აბრამის და ელენე 16 წლის.

3. რუხა **პატაშური** 55 წლის.
   მისი ცოლი არიამ 50 წლის.
   მისი შვილი ლევან 13 წლის.
   მისი ქალიშვილი დარეჯან 8 წლის.

4. ნინია **პატაშური** 57 წლის.
   მისი ცოლი არიამ 50 წლის.
   მისი შვილი მახარობელი 12 წლის.“

ამ აღწერამდე 50 წლით ადრე ხევშაში **პატაშურთა** 10 კომლი მკვიდრობდა. მათ ადგილზე 4 კომლი დარჩენილა.

ამავე 1831 წლის აღწერით სოფელ წიფორში **პატაშურთა** სამი კომლი და სოფელ ქავთურთაში ერთი კომლი ცხოვრობდა:

„მთიულეთი ს. წიფორი:

1. ელიზბარ **პატაშური** 60 წლის.
   მისი ცოლი არიამ 56 წლის.
   მისი ძმა შიო 51 წლის.
   შიოს ცოლი არიამ 50 წლის.
   შვილი მისი ავთანდილ 36 წლის.
   ავთანდილის ცოლი ანა 35 წლის.
   შვილები: 1. აბრამ 8 წლის.
   2. ხიზანა 5 წლის.

2. ელიზბარ **პატაშური** 50 სლის.
მისი ცოლი არიამ 46 წლის.
მისი შვილები: 1. გიორგი 20 წლის.
2. ნინია 19 წლის
3. ისევ გიორგი 10 წლის.
გიორგის ცოლი ანა 20 წლის.
შვილი ელიზბარ 2 წლის.
ნინიას ცოლი თათუა 15 წლის.

3. ხახა **პატაშური** 60 წლის.
შვილი მისი ლეგა 37 წლის.
ლეგას ცოლი პატარქალი 30 წლის.
შვილები: 1. გიორგი 5 წლის.
2. მახარობელი 2 წლის.
ქალიშვილი მარიამ 8 წლის.

მთიულეთი ს. მეღორიანი ანუ ქავთურთა.

1. ბერი **პატაშური** 40 წლის.
ცოლი მისი არიამ 38 წლის.
შვილები: 1. ხიზანა 13 წლის.
2. იოსებ 4 წლის.
ქალიშვილები: 1. ბარბალე 11 წლის.
2. მარინა 1 წლის".

(ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 254, აღწერა 1, საქმე 1245, გვ. 364-365, 376, 385).

XIX საუკუნის 30-იან, 40-იან წლებში **პატაშურები** არაგვის ხეობის სხვა სოფლებშიც იხსენიებიან. საეკლესიო მეტრიკული ჩანაწერების მიხედვით ირკვევა, რომ 1833 წლის 3 იანვარს ჭართლის თემის სოფელ ვაშლობში სიხარულ გივის ძე **პატაშურს** შეეძინა ვაჟი თევდორე. (ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 489, 6, 183ა, 10). ჩვენი ვარაუდით, სიხარულ **პატაშური** კრწანისის ველზე დარუპული ქავთურთკარელი მსახურის გივი **პატაშურის** შვილია. ასევე ვაშლობში უცხოვრია ანდრია გლახას ძე **პატაშურს**, რომელიც 1835 წელს თავმდებად ყოფილა ქავთურთკარელი ხიზანა **პატაშურის** ქორწილში (ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 489, აღწერა 6, საქმე 237, წიგნი 7). ეს ხიზანა **პატაშური** კრწანისში დაღუპული მსახურის ხიზანა **პატაშურის** შვილიშვილი იყო.

1842 წელს ჭართლის თემის სოფელ დგნალში მცხოვრებმა გლახა ჯანიაშვილმა ქალი გაათხოვა მთიულეთის სოფელ კაიშაურებში.

თავმდებთა შორის იხსენიება დგნალელი ივანე შიოს ძე **პატაშური**. (ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 489, აღწერა 6, საქმე 436, გვ. 35).

ამავე 1842 წლის 27 ნოემბერს ანანურის მახლობლად სოფელ ქაისხევში ივანე ნინიას ძე **პატაშურს** შეეძინა ქალიშვილი ნატალია. (ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 489, აღწერა 6, საქმე 436, წიგნი 1, გვ. 7).

ვაშლობში და დგნალში **პატაშურები** ნამდვილად ცხოვრობდნენ, ხოლო ქაისხევში ივანე **პატაშური** ან ცხოვრობდა, ან ცოლი ჰყავდა იქაური.

XIX საუკუნის I ნახევარში ჩასახლებულან **პატაშურები** თიანეთში და ერწოს სოფლებში (რ. თოფჩიშვილი, საქართველოს ისტორიული დემოგრაფიისათვის, თბ. 2002, გვ. 73, 76, 78). ერწო-თიანეთის რამდენიმე სოფელში დღესაც ცხოვრობენ **პატაშურები**. ისინი სალოცავად ისევ მთიულეთში დადიან.

როგორც ზემოთ უკვე ითქვა მთიელთა ბარად მიგრაციის ერთი მნიშვნელოვანი მიზეზი ადგილის სიმცირე იყო. მთაში მიწის ყიდვა-გაყიდვა და მიწაზე დავა ხშირად ხდებოდა. წარმოვადგენთ ხევშაში მამულის ნასყიდობის

ერთ საბუთს, რომელიც ამჟამად ხევშელი რუხაანთ **პატაშურების** ოჯახში ინახება:

„ჩყნ წელსა მაისის იე დღეს.

მოგეციმეამავექვემორეხელისმომწერელმა მთიულეთში მცხოვრებელი სოფელსა ძმიანთ კარსა დავითა დავითას ძე ძმიაშვილმა, შენ ამავე მთიულეთში მცხოვრებელი სოფელსა ხევშასა ნინია რუხაის ძე **პატაშურსა** ასე რომ რომელიც რომ მქონდა ხევშას სათიბი მთა ბეჭანი ოცდაექვსი მისი თივა ითიბება, რომელიცა არს ესე მთა ორთა, მე და ძმა ჩემი თორელს გავიყარენით და მე მერგო ნახევარი ამ სათიბისა და გამიყიდნია ჩემის ნებით ოთხი თუმ(ან)ი და ხუთი მანეთათა ნინია რუხაის ძისთვინ მიმიყიდნია და ფულიცა სრულათა ამიღ(ი)ა მე დავითა დავითას ძე ძმიაშვილმა. რომ ამაში მიზეზი ვერვინ შემო(ი)ტან(ო)ს, არცა ძმამ, არცა სახლიკაცებმა, პასუხის გამცემი მე ვიყო დავითა დავითას ძემ. ამის მოწამე ვარ გიგოლო ძმიაშვილი. რადგანც გიგ(ო)ლამ წერა არ იცოდა ამის თხოვნით და ხელჩამორთმევით ხელს ვაწერ გიგოლა გუდიოვი.

ამის მოწამე გლახა ძმიაშვილი. ამის მოწამე გიგო გუდიოვი.

ჩემი საკუთ(ა)რი სათიბი მიმ(ი)ცია დავით დავითაძე ძმიაშვ(ი)ლმა. რადგანაც დავითამ წერა არ იცოდა, ამის თხოვნით და ხელ(ი)ს ჩამორთმევით ხელს ვაწერ გიგოლა გუდიოვი". (საბუთის მფლობელი ილია ვასილის ძე **პატაშური**. ქ. თბილისი).

საბუთი 1858 წლის 15 მაისს დაწერილა. **პატაშურს** ადგილი ძმიაშვილისგან უყიდია. ძმიაშვილი სინამდვილეში ძმიანთ კომობის ქავთარაძეა.

მიწა ხელიდან ხელში გადადიოდა. ხევშაში ერთ მთას „სადგისეულები" ჰქვია. ზეპირი გადმოცემით ამ მთის სათიბები ადრე **პატაშურებს** სჭერიათ და მერე ჭიკაიძეების გამხდარა. (გ. ხორნაული, მთები და სახელები, თბ. 1983, გვ. 172). ხევშაში **პატაშურებს** ეკუთვნის მამული „სისხლის ფასები", რომელიც ადრე ქავთარაძეებს ეკუთვნოდათ. მსგავსი სახელწოდების „ნასისხლი" მამულები მთიულების სხვა სოფლებშიც დასტურდება. შემთხვევითი მკვლელობის დროს, მთიელთა ჩვეულებითი სამართალი ითვალისწინებდა სისხლის საფასურის გადახდას და მოდავე მხარეების შერიგებას.

პატაშურებს საკმაოდ ვრცელი მამულები ჰქონიათ ხევშაში. წარმოვადგენთ ამ მამულების არასრულ ჩამონათვალს: ათილიანთეული, გოგოურები, კუტური, ნაცარბოსტანა, სრელა, ქათქვედა, ქოხთანები, ღარიალი, ღორღოვანა, წინაყანა და სხვა. **პატაშურთა** ხატის მამული იყო ბრინიანი. **პატაშურთა** სათიბები იყო ხევშას მთები: არყიანი, გოდეურნი, ვარცლიანი, კიბენი, ნაციხვარანი, სიპთქედი, სონთიანი და სხვა.

ამის გარდა **პატაშურები** მამულებს ფლობდნენ სოფელ ქერანაში, ახალდაბაში, ნაქალაქარში, დიდგორში და სხვა. მუხრანის ველზე **პატაშურთა** სალოცავს თავისი ვენახი ჰქონდა, საიდანაც **პატაშურები** ტკბილს ეზიდებოდნენ და ხევშაში თავისი სალოცავის ქვევრებში ღვინოს აყენებდნენ.

1873 წლისათვის ხევშაში **პატაშურთა** გვარი უკვე 12 კომლად ცხოვრობდა:

„ტფილისის გუბერნიის დუშეთის მაზრის სოფელი პატაშურთკარი.

სახაზინო გლეხები მცხოვრებნი სახაზინო მიწაზე.

1. ნინია რუხას ძე **პატაშური** 63 წლის
   მისი შვილები: 1. გიორგი 23 წლის.
   2. გრიგოლ 17 წლის.
   3. ალექსი 10 წლის.
   4. მამუკა 4 წლის.
   5 კაცი, 5 ქალი.

2. თევდორე ხოსროს ძე **პატაშური** 95 წლის.
   მისი ძმა იულონ 63 წლის.
   ძმის შვილი აბრამ 23 წლის
   აბრამის შვილები: 1. აბრამ 10 წლის.
   2. გრიგოლ 7 წლის.
   5 კაცი, 5 ქალი.

3. გიორგი ხოსროს ძე **პატაშური** 90 წლის.
   მისი შვილები: 1. სტეფანე 15 წლის.
   2. მოსე 10 წლის
   3 კაცი, 2 ქალი.

4. აბრამ ანდრიას ძე **პატაშური** 44 წლის.
მისი შვილი ნინია 10 წლის.
2 კაცი, 3 ქალი.

5. აბრამ მახარობლის ძე **პატაშური** 35 წლის
მისი ძმები: 1. გიორგი 20 წლის.
2. სიმონ 15 წლის.
3 კაცი, 3 ქალი.

6. შიო ანდრიას ძე **პატაშური** 30 წლის.
მისი შვილები: 1. იოსებ 6 წლის.
2. ალექსი 3 წლის.
მისი ძმისშვილი მიხეილ 20 წლის.
4 კაცი, 2 ქალი.

7. იოსებ ბერის ძე **პატაშური** 55 წლის.
მისი შვილები: 1. შიო 25 წლის.
2. გრიგოლ 20 წლის.
3. ივანე 10 წლის
4. გიორგი 8 წლის.
5. პავლე 5 წლის
6 კაცი, 5 ქალი.

8. ხიზანა თანდილას ძე **პატაშური** 45 წლის.
მისი შვილი ბერო 15 წლის.
2 კაცი, 4 ქალი.

9. ანდრია გლახას ძე **პატაშური** 67 წლის.
მისი შვილები: 1. იოსებ 30 წლის.
2. სიმონ 25 წლის.
3. დავით 20 წლის.
4. გრიგოლ 15 წლის.
5. ათილა 6 წლის.
6 კაცი, 5 ქალი.

10. ვასილ ივანეს ძე **პატაშური** 15 წლის.
1 კაცი, 2 ქალი.

11. აბრამ ავთანდილის ძე **პატაშური** 50 წლის.
მისი შვილები: 1. ბერო 5 წლის.
2. აკოფ 1 წლის.
3 კაცი, 2 ქალი.

12. მახარობელ სტეფანეს ძე **პატაშური**
44 წლის.
მისი ძმისშვილი ალექსი 10 წლის.
2 კაცი, 5 ქალი.

ნადიბანთკარის მამასახლისი იოსებ
ქავთარაძე".

(ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 254, აღწერა 3, წიგნი 260, გვ. 88-91).

ამავე 1873 წლის აღწერით **პატაშურთა** 6 ოჯახს უცხოვრია ბარად მისაქციელის მახლობლად სოფელ ახალდაბაში:

„1. შიო ნინიას ძე **პატაშური** 43 წლის
მისი შვილები: ზურაბ 25 წლის
ივანე 19 წლის.
ზურაბის შვილი ისაკ 3 წლის
შიოს ძმა სოსიკა 33 წლის
სისოკას შვილები: ალექსი 14 წლის
გაბრიელ 13 წლის
ფრიდონ 5 წლის
გიგო 2 წლის
შიოს ძმის ბესარიონის შვილები:
გიგია 32 წლის
ანდრია 27 წლის
ზაქარია 25 წლის
მიხა ბეჟანის ძე 20 წლის
გოგიას შვილი არსენ 1 წლის
ანდრიას შვილი სერგო 7 წლის
15 კაცი, 14 ქალი.



2. გაბრიელ გიგოლას ძე **პატაშური** 29 წლის
მისი შვილები: გიორგი 8 წლის
ილარიონი 6 წლის
გაბრიელის ძმები: ივანე 25 წლის
სიმონ 20 წლის
5 კაცი, 7 ქალი.

3. მთვარელა ნადირას ძე **პატაშური**
3 წლის
მისი შვილები: გიორგი 38 წლის
მიხეილ 33 წლის
გიორგის შვილები: ალექსი 6 წლის
სიმონ 3 წლის
მიხეილის შვილი რომანოზ 1 წლის
6 კაცი, 1 ქალი.

4. გაბრიელ ივანეს ძე **პატაშური** 41 წლის.

5. სოსიკა ივანეს ძე **პატაშური** 20 წლის
მისი ძმები: მიხა 10 წლის
ანტონ 4 წლის
3 კაცი, 2 ქალი.

6. ნინია ხოსროს ძე **პატაშური** 51 წლის
მისი შვილები: დიმიტრი 18 წლის
ალექსი 6 წლის
ნინიას ძმა **პატაშური** 41 წლის
მისი შვილი მიხეილ 4 წლის
ნინიას ძმის ანდრიას შვილი გიორგი
6 წლის
6 კაცი, 5 ქალი.

(ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 254, აღწერა 3, წიგნი 256, გვ. 91-95).

1873 წლის აღწერის მიხედვით **პატაშურებს** უცხოვრიათ: არჩოეთში, წილკანში, მისაქციელში, ბულაჩაურში და სხვა. ეს მასალები ჯერ კიდევ მოსაძიებელია. მოსაძიებელია ერწო-თიანეთის და შირაქის **პატაშურების** გენეალოგიური მასალა, იმისათვის რომ შედგეს გვარის სრული და ზუსტი გენეალოგიური ნახაზები.

პატაშურთა გვარში არის სურვილი, რომ გაგრძელდეს ძიება ამ მიმართულებით და მომზადდეს გამოკვლევა **პატაშურთა** გვარის გენეალოგიის შესახებ ცალკეული განშტოებების მიხედვით.

გვარის შიდა ნათესაურ ჯგუფებს ანუ „ერთი ცეცხლიდან გაყრილ“ ოჯახებს საქართველოს სხვადასხვა მხარეში სხვადასხვა სახელი ჰქვია. მთიულეთში „კომობას“ იტყვიან. „კომად ვისი ხარო“ იკითხავენ. **პატაშურებში** რამდენიმე კომობა გამოიყოფა: რუხაანი, ბეკვრიანი, პოვლიანი, ათილიანი, მგელიანი, ბაჩუნაანი, ნადირაანი, გუგუანი, ხახაანი, თუშიანი და სხვა. ამათ გარდა **პატაშურების** ერთი შტო ცალკე გვარად განშტოებულა.

მთიულეთის სოფელ ლაკათხევში მცხოვრები საქიძეები იგივე **პატაშურები** არიან და ამათ შორის ქალი არ თხოვდება.

„ძირად **პატაშურები** ვართ, ხევშიდანა. იქ თავაღებულიჯეილიყოფილასიმღა,შამოუკრავ ბიძაშვილისთვინა და მოუკლავ. წამოსულა და გვარიც გამაუცვლია, საქიძედ დაწერილა. იმაზე მოვდივართ“. მთხრობელი ვანო საქიძე, სოფელი ლაკათხევი. (გ. ხორნაული, მთები და სახელები, თბ. 1983, გვ. 161).

როდის განშტოვდა საქიძე **პატაშურთაგან** ვერ ვიტყვით, მაგრამ 1774 წლის აღწერაში საქიძე ლაკათხევში უკვე იხსენიება. ამჟამად საქიძეები გარდა ლაკათხევისა ცხოვრობენ:

არახვეთში, ჭოპორტში, არხილოსკალოში და სხვა.

საქართველოს სხვადასხვა მხარეში მცხოვრებ **პატაშურთა** და ძირად **პატაშურთა** მთავარი და უპირველესი სალოცავია ხევშას მიქაელ მთავარანგელოზი, სადაც დეკანოზობა რუხაანთ კომობის **პატაშურებს** მოუდით. ხატობა ღამისთევით იციან ყოველი წლის ამაღლება დღეს. აგრეთვე **პატაშურების** სალოცავებია ხევშისხეველთა საერთო სალოცავები: ყოლოწმინდაი, თორმეწამია და კვირიაი. **პატაშურები** ლოცულობენ წიფორის წმინდა გიორგის, ოჩაგანს წმინდა გიორგის — თეთრი და შავი არაგვის თავდამყურეს და რათქმაუნდა ქსნელთა და არაგველთა მთავარ სალოცავს, დიდი ლომისის წმინდა გიორგის.

პატაშურთა გვარის სახელი აისახა ქართულ ტოპონიმიკაში: **„პატაშურთ ციხე“** - ნაციხარი ადგილი და **„პატაშურთ კარი“** - უბანი ხევშაში; **„პატაშურები“** - საძოვარი ადგილი სოფელ დიღომთან, დიდგორში (თბილისის და მისი მიდამოების ტოპონიმია, შემდგენელი გ. ზარდიაშვილი, თბ. 1978. გვ. 56); **„პატაშურთ ნაჭერები“** - სახნავი და საძოვარი ადგილები სოფელ ქვემო ნაქალაქარში (გ. ბედოშვილი,

ერწო-თიანეთის ტოპონიმია. თბ. 1980, გვ. 152) და სხვა.

პატაშურთა გვარს XX საუკუნეში გაუჩნდა თავისი ინტელიგენცია. ქართული კულტურის სამსახურში გამოჩნდნენ: მხატვარი ილია **პატაშური**, მხატვარი პაატა **პატაშური**, მხატვარი მერი **პატაშური**, მხატვარი გელა **პატაშური**, პოეტი ბადრი **პატაშური**, პოეტი ხათუნა **პატაშური**, სახალხო მთქმელი მოსე **პატაშური**, სახალხო მთქმელი სვიმონ **პატაშური**, ხალხური სიმღერების შემსრულებელი სანდრო **პატაშური**, რეჟისორი თამილა **პატაშური**, მსახიობი თამთა **პატაშური**, მუსიკოსი თეონა **პატაშური**, ქორეოგრაფი გიორგი **პატაშური**, ისტორიკოსი ნინო **პატაშური**, ხელოვნებათმცოდნე გიორგი **პატაშური** და ს ხვა.

ამჟამად **პატაშურები** ცხოვრობენ: დუშეთში და დუშეთის რაიონის სოფლებში: ხევშაში, ბახანში, არახვეთში, ქვეშეთში, ვაშლობში, ბიჩნიგაურში, მილახვრიანთკარში, ბაზალეთში, აბანოსხევში, დაბა ფასანაურში და დაბა ჟინვალში; მცხეთაში და მცხეთის რაიონის სოფლებში: წილკანში, აღდგომლიანთკარში, მისაქციელში, ნავაზში, ახალუბანში, ახალ-

დაბაში და საგურამოში; თიანეთში და თიანეთის რაიონის სოფლებში: ზემო ნაქალაქარში, ახალსოფელში, თოლენჯში, ღულელებში და სიონში. კასპის რაიონის სოფელ ოკამში; გორში და გორის რაიონის სოფელ ხიდისთავში; ბოლნისის რაიონის დაბა კაზრეთში; მარნეულის რაიონის სოფელ თამარისში; თელავში; ყვარლის რაიონის სოფელ ახალსოფელში; დედოფლისწყაროში და დედოფლის წყაროს რაიონის სოფელ ზემოქედში და არხილოსკალოში; საგარეჯოს რაიონის სოფელ უდაბნოში და სხვა. თბილისში **პატაშურთა** დაახლოებით 85 ოჯახი ცხოვრობს.

საქართველოში **პატაშურთა** დიდ-პატარის, ქუდოსან-მანდილოსნის საერთო რაოდენობა 900 სულს აჭარბებს.

ღმერთმა ამრავლოს გვარი **პატაშურთა**!

2013 წლის 17 თებერვალს, თბილისში, წმინდა სამების ტაძარში შედგა **პატაშურთა** გვარის შეკრება. დაფუძნდა **„პატაშურთა** საგვარეულო კავშირი“. გვარის პირველ წინამძღოლად არჩეულია სამხატვრო აკადემიის პროფესორი, სახელმწიფო პრემიის ლაურიატი და საქართველოს სახალხო მხატვარი ილია **პატაშური**.

პატაშურებმა დააწერინეს საგვარეულო ხატი, შექმნეს გვარის გერბი და დროშა. საგვარეულო ბუდე-სოფლის, საგვარეულო სალოცავის მოვლა-პატრონობისათვის და გვარის შიგნით ურთიერთ დახმარებისათვის **პატაშურებმა** საფუძველი ჩაუყარეს საგვარეულო ფონდს.

2013 წლის 9 ივნისი საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის, უწმინდესის და უნეტარესის ილია II-ს მიერ **პატაშურთა** გვარის დალოცვის დღეა.



პატაშურთა საგვარეულო გერბი და დროშა

ავტორი ილია პატაშური